



სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2021 წელს უფლებრივ მდგომარეობას აფასებს

10 დეკემბერი ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღეა. ამ დღეს, ყოველწლიურად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ანგარიშს აქვეყნებს და მიმდინარე წელს აჯამებს.

2021 წელს ქვეყანა განგრძობადი პოლიტიკური კრიზისით შეხვდა, რომელიც ვერც საერთაშორისო პარტნიორების მედიატორობით გაფორმებულმა 19 აპრილის პოლიტიკურმა შეთანხმებამ განმუხტა და ვერც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. პოლიტიკური კრიზისზე დაფუძნებული დღის წესრიგიდან სრულად აღმოჩნდა გამოტოვებული:

- პანდემიის შემაშფოთებელი ადამიანური და სოციალური შედეგები;
- ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ინფლაციის უპრეცედენტო მასშტაბების ფონზე კიდევ უფრო დამძიმდა;
- ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის დაცვაზე მიმართული რეფორმების საკითხები.

პოლიტიკური პოლარიზაცია და რადიკალიზაცია განსაკუთრებით საგრძნობი იყო თვითმმართველობის არჩევნების კონტექსტში. წინასაარჩევნო პერიოდში პარტიების სამუშაო სტრატეგიები საგანგებო მდგომარეობის პერსპექტივას უფრო დაეფუძნა, რომელშიც სრულად იყო იგნორირებული რეგიონებისა და ქალაქების რეალური გამოწვევები და საჭიროებები. ანტაგონიზმმა და მტრულმა რიტორიკამ დაიკავა პოლიტიკური თუ მედია-სივრცე და ვერ მოიძებნა ვერც პოლიტიკური და ვერც საზოგადოებრივი რესურსი ამ სიტუაციის განსამუხტად. პირიქით, არჩევნებზე დაფიქსირებულმა ხარვეზებმა და პარალელურ რეჟიმში ქვეყნის მესამე პრეზიდენტის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ვითარების რადიკალიზებას. სააკაშვილის ფაქტორმა პოლარიზების სიტუაცია გააღრმავა და ამ ფონზე მცირე პოლიტიკური პარტიების გავლენები და საარჩევნო მაჩვენებლები კიდევ უფრო შესუსტდა.

პოლიტიკური პოლარიზების გარემომ და მმართველ პოლიტიკურ გუნდში მიმდინარე რთულმა და არადემოკრატიულმა შიდა პროცესებმა არსებითად დააზიანა ქვეყნის

ევროპეიზაციის პროცესი. პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის დანიშვნის შემდეგ მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერების მხრიდან ისმოდა შემაშფოთებელი განცხადებები ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორობის მიმართ. ევროკავშირთან ურთიერთობის პროცესები კი აშკარად კრიზისშია შესული, რასაც არა ერთი ევროპარლამენტარის მიერ გაკეთებული მძიმე და საგანგაშო განცხადებაც ადასტურებს.

მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მკვეთრად პრობლემური იყო, რაც მისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვასა და გამოცხადებული შიმშილობის ფონზე ადეკვატურ სამედიცინო მოპყრობაზე უარს უკავშირდებოდა. არსებული მართლმსაჯულების სისტემის პოლიტიზებისა და კლანური სტრუქტურის გათვალისწინებით, ცხადია, ჩნდება ეჭვები, რომ მიხელ სააკაშვილის მიმართ მართლმსაჯულება დამოუკიდებელი და სამართლიანი ვერ იქნება. ეს მოცემულობა არღვევს არა მხოლოდ ინდივიდუალური პირის უფლებებს, არამედ შეუძლებელს ხდის წარსულის სამართლიან შეფასებას და მასზე საზოგადოებრივ შეთანხმებას, რაც პოლიტიკური პოლარიზებისა და კონფლიქტების კიდევ ერთი მიზეზია.

შემაშფოთებელია არჩევნების შემდგომ ცალკეულ თვითმმართველ ერთეულებში განვითარებული ტენდენციები, როდესაც მმართველი პოლიტიკური ძალა ძალაუფლების კონსოლიდაციის მიზნით ცდილობს საკრებულოებში ახლადარჩეულ ოპოზიციონერ დეპუტატებზე ზეწოლასა და გადმობირებას. ამ კოტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბათუმის საკრებულოს ახლადარჩეული წევრის, ნუგზარ ფუტყარაძის გარდაცვალების საქმე, სადაც იკვეთება საკრებულოს ოპოზიციონერ წევრზე [იძულების ნიშნები](#), ემოქმედა მმართველი პოლიტიკური გუნდის ინტერესების სასარგებლოდ. მსგავსი ტენდენცია იკვეთება დმანისშიც, სადაც ასევე საკრებულოს ოპოზიციონერი წევრის, [რამიზ რამაზანოვის](#) მიმართ იკვეთება ზეწოლის ნიშნები.

2021 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულმა კრებსებმა, რომელიც სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასობრივ უკანონო მოსმენებს აჩვენებს, კიდევ ერთხელ გამოავლინა პოლიტიკურ სისტემაში უსაფრთხოების სამსახურების ჭარბი გავლენები და მათი შეღწევა მიკრო სოციალური ურთიერთობებშიც, რაც სოციალური კონტროლის და უნდობლობის უმძიმეს გამოცდილებას ქმნის.

ქახელმწიფო ვალის გაზრდის ხარჯზე გაჩენილი ანტი-კრიზისული დახმარებები და პირდაპირი ფულადი კომპენსაციები მათზე, ვინც პანდემიური შეზღუდვების დროს სამსახური დაკარგა, გარკვეულწილად პასუხობდა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკური

კრიზისს ქვეყანაში. თუმცა სასახელმწიფოსთვის ისევე სირთულეს წარმოადგენს როგორც არაფორმალურად დასაქმებულთა სოციალური დაცვა, ისე სწრაფი და ადეკვატური რეაგირება მასშტაბურ გაფიცვებსა და მშრომელთა სხვადასხვა სახის პროტესტზე. მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა რეგიონში მასშტაბურ გარემოსდაცვით აქციებს ვხედავდით. ლოკალურად მოსახლეობა პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილს, და მრავალდღიან პიკეტირებასაც კი მიმართავდა, რასაც სახელმწიფო იგნორირებით ან რეპრესიით პასუხობდა, ზღუდავდა პროტესტის უფლებას და გადაადგილების თავისუფლებას მთავარ დაპირისპირების კერებში.

2021 წელს კვლავ მწვავედ წამოიჭრა ულტა-მემარჯვენე ჯგუფების რადიკალიზებისა და ძალადობის პრობლემა. წლების განმავლობაში ამ ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობის მიმართ სახელმწიფოს შემწყნარებლურმა პოლიტიკამ და დაუსჯელობამ, კიდევ უფრო გაზარდა ამ ჯგუფებისგან მომავალი საფრთხეები. ამ კუთხით განსაკუთრებით შემაშფოთებელი 2021 წლის 5-6 ივლისს, „პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციაზე გამოვლენილი მასობრივი, წინასწარ ორგანიზებული ძალადობა ალტ-ინფოს ჯგუფის ლიდერების მხრიდან, რასაც 52 ჟურნალისტის უფლების და პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა, მათ შორის, რამდენიმე მათგანის მიმართ ძალადობა მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენების გამომიება ამ დრომდე ფრაგმენტულად მიმდინარეობს და აშკარად არ იკვეთება ხელისუფლების პოლიტიკური ნება სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს ძალადობრივი შეკრების ორგანიზატორებს. ამ ფონზე სწორედ ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა ამ ჯგუფების მიერ პარტიებისა და ტელევიზიების დაფუძნება და ინსტიტუციური პოლიტიკის ველში მკვეთრად ანტიდემოკრატიული, ანტიკონსტიტუციური ძალების შემოსვლა.

მიმდინარე წელს ისევე ვიხილეთ რელიგიური და ეთნიკური კონოტაციის მქონე სოციალური კონფლიქტები ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ხელისუფლებისთვის თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკაში პოზიტიური გარდაქმნებისა და არსებითი რეფორმების სიგნალი ისევე არ გახდა. მეტიც, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში წინასაარჩევნო პროცესებმა და ხელისუფლების მხრიდან მათი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების გამოცდილებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, ამ რეგიონების სუსტი ინტეგრაციის პოლიტიკის, დემოკრატიიდან გამორიცხვისა და პერიფერიალიზაციის პოლიტიკური განზრახვები.

ცხადია, რომ პოლიტიკური პოლარიზების, სუსტი დემოკრატიზაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკის პირობებში არსებითად შეუძლებელი ხდება ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკური

საკითხებზე მუშაობა, რომელიც კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციას და შერიგების პოლიტიკის ახალ საფეხურზე აყვანას დაუკავშირდება.

ამდენად ღრმა და გადაუჭრელმა პოლიტიკურმა კრიზისმა და პოლარიზებამ, მმართველი პოლიტიკური გუნდის მხრიდან ძალუფლების შენარჩუნების არადემოკრატიულმა მცდლობებმა, პანდემიამ, ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ინფლაციამ არსებითად გააუარესა ჩვენი მოქალაქეების ყოფა და უფლებრივი მდგომარეობა. აშკარაა, რომ სხვადასხვა ტიპის სოციალურ კონფლიქტებსა და უკმაყოფილებებს სახელმწიფო ვერ პასუხობს გრძელვადიანი სოციალური და სამართლებრივი რეფორმებით, რაც საბოლოოდ არასტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს ქმნის და სოციალურ უიმედობას აწარმოებს.

□ოცნებულ ანგარიშში ადამიანის უფლებების მდგომარეობა თემატურადაა წარმოდგენილი.

მართლმსაჯულების ჩავარდნილი რეფორმა

მართლმსაჯულების რეფორმების 4 ტალის მიუხედავად, ქართული სასამართლო სისტემა კვლავაც ვერ არის მედეგი შიდა, თუ გარე გავლენების მიმართ. დღეს სასამართლო სისტემა იმართება არა მართლმსაჯულების, არამედ ვიწრო-პარტიული და შიდა-კორპორატივისტული ინტერესებით. არსებული მწვავე პრობლემების მკაფიო დადასტურება იყო 19 აპრილის შეთანხმება, სადაც მართლმსაჯულების სისტემური რეფორმის საჭიროებაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული.

სამწუხაროდ, 2021 წელსაც გაგრძელდა სასამართლოში მმართველი პოლიტიკური გუნდის და შიდა-კლანური გავლენების გაფართოება. 19 აპრილის დოკუმენტის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ, გაგრძელდა უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება და წელს 10 მოსამართლე დაინიშნა უვადოდ ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც, მოსამართლეთა დანიშვნა მიმდინარეობდა ხარვეზიანი პროცესებით და კანდიდატების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღებოდა არა პროფესიული კრიტერიუმების საფუძველზე, არამედ პარტიული თუ კლანური ლოიალურობის მიხედვით.

კვლავაც პრობლემურია მართლმსაჯულების სისტემის უმნიშვნელოვანესი ორგანოს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა. სისტემის მართვასთან დაკავშირებულ თუ საკადრო გადაწყვეტილებებს, საბჭო კვლავაც ვიწრო-კლანური ინტერესებით იღებს და უკიდურესად დაბალია აღნიშნული ორგანოს მიმართ საზოგადოებრივი თუ პროფესიული ჯგუფების ნდობის ხარისხი. ხაზგასასმელია, რომ მმართველი პოლიტიკური გუნდის გადაწყვეტილების შედეგად, დღემდე არ არის საბჭოში დანიშნული 5 არამოსამართლე წევრი, რაც კიდევ უფრო ამცირებს აღნიშნული ორგანოს საქმიანობაზე გარე-კონტროლისა თუ

გამჭვირვალობის შესაძლებლობებს და საბჭოს ფუნქციონირებას მთლიანად შიდა-კლანურ ლოგიკას უქვემდებარებს.

სასამართლო სისტემის მიმართ ადგილობრივი თუ საერთაშორისო აქტორების მკაცრი შეფასებების ფონზე, მიმდინარე წლის ზაფხულში კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის შეიმუშავა სასამართლო სისტემის რეფორმის კონცეფცია. კონცეფცია, რადიკალურად ცვლის სასამართლო სისტემის მართვის ლოგიკას, აძლიერებს ამ პროცესში პოლიტიკური კონსენსუსის საჭიროებას და ამავდროულად, აქცენტს აკეთებს სასამართლო კორპუსის გადახალისებაზე, რათა სისტემამ რეალურად მოიპოვოს საზოგადოებრივი ნდობა.

სამართალდამცავი სისტემა და რეპრესიული სისტემის სამართლის პოლიტიკა

მიმდინარე წელს არსებითაც შეჩერებული იყო სამართალდამცავი სისტემის, პროკურატურის და პოლიციის ინსტიტუციური რეფორმები. კვლავაც გამოწვევას წარმოადგენს აღნიშნული უწყებების ჩაკეტილობა და თანამშრომლობის დეფიციტი სამოქალაქო ორგანიზაციებთან. უმწვავეს პრობლემად რჩება პროკურატურის და პოლიციის პოლიტიკური მიზნებით ინსტრუმენტალიზება და ამ ორგანოების გამოყენება საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური პროტესტების ჩასახშობად.

ქვეყნის სისტემის სამართლის პოლიტიკა კვლავაც ვერ პასუხობს შექმნილ სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ჩანს ქონებრივი და ნარკოტიკული დანაშაულების შემთხვევაში, რა დროსაც სახელმწიფოს მოქმედების ძირითადი ლოგიკა დასჯა და იზოლაციაა, ნაცვლად სოციალური თუ ეკონომიკური საჭიროებების მქონე მოქალაქეების მხარდაჭერა.

როგორც აღინიშნა, 2021 წელსაც შეჩერებული იყო საგამომიებო სისტემის, ნარკოპოლიტიკის, პოლიციის და პროკურატურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის რეფორმებზე მუშაობა. ამ მხრივ, აღსანიშნავია 19 აპრილის დოკუმენტში სპეციალური აქცენტი პროკურატურის რეფორმის საკითხზე - კერძოდ კი გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის იმგვარი წესის შემუშავების აუცილებლობაზე, რაც შეამცირებდა ამ პროცესზე პოლიტიკური გავლენების რისკებს. სამწუხაროდ, გენერალური პროკურორის არჩევის წესზე მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ ინიცირებული კანონპროექტი პარლამენტში პირველი მოსმენის ეტაპზე შეჩერდა, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ 19 აპრილის შეთანხმება ანულირებულად გამოაცხადა.

მიმდინარე წელსაც აქტუალური იყო ერთი მხრივ, საპოლიციო ძალის დისპროპორციული, დაუსაბუთებელი გამოყენების პრაქტიკები მშვიდობიანი დემონსტრაციების დროს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით პრობლემურია ადმინისტრაციულ სამსართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებები და ადმინისტრაციული დაკავების გაზრდილი ვადები, რომელიც კიდევ უფრო ზრდის საპოლიციო თვითნებობის და მოქალაქეთა უფლებების უსაფუძვლოდ შელახვის რისკებს. მეორე მხრივ, აშკარა იყო პოლიციის უმოქმედობა ისეთ 5-6 ივლისის მოვლენების დროს, როდესაც ულტრაკონსერვატორულმა ჯგუფებმა ათეულობით მშვიდობიანი აქტივისტის თუ ჟურნალისტის მიმართ ორგანიზებულად იძალადეს.

უსაფრთხოება და პირადი ცხოვრების უფლების დარღვევები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პოლიტიზირება და მისი პოლიტიკური მიზნებით ინსტრუმენტალიზება კვლავაც მწვავე პრობლემას წარმოადგენს. მიმდინარე წლის სექტემბერში მედიის საშუალებით გავრცელდა უკანონოდ მოპოვებული ფაილები, სადაც სასულიერო პირების, ჟურნალისტების, ადვოკატების, დიპლომატების თუ სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლების პირადი კომუნიკაციის დეტალები იყო დამუშავებული. უკანონო მოსმენების და მიყურადების პრობლემა წლების განმავლობაში იწვევდა სამოქალაქო ორგანიზაციების კრიტიკას, თუმცა წელს გავრცელებულმა ფაილებმა კიდევ ერთხელ, უფრო მკაფიოდ აჩვენა არსებული პრობლემის მასშტაბი და სიმწვავე. ასევე მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ფარული მოსმენების აღნიშნულ პრაქტიკებს პირდაპირ განაპირობებს არსებული კანონმდებლობა და ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც ერთი მხრივ ჭარბი და უკონტროლო ძალაუფლებით აღჭურავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, მეორე მხრივ კი ამ ორგანოს საქმიანობაზე არ ავრცელებს ეფექტიან გარე კონტროლის მექანიზმებს.

სამწუხაროდ, უკანონო მოსმენა/მიყურადების თაობაზეც სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება უკიდურესად არაეფექტიანია და მმართველი პოლიტიკური გუნდი ამ დრომდე უარს აცხადებს, საკითხის შესასწავლად და პრობლემების სწორად იდენტიფიცირებისთვის, საპარლამენტო ინსტრუმენტების გამოყენებაზე. შესაბამისად, სუს-ის საქმიანობა კვლავაც კონტროლს მიღმაა, არსებული სუსტი ანგარიშვალდებულების და ზედამხედველობის ინსტრუმენტების პირობებში კი უკიდურესად იზრდება მოქალაქეთა პირადი ცხოვრების თუ სხვა უფლებების შელახვის რისკები.

არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების მდგომარეობა

არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვის, სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის მიმართულებით 2021 წელი მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი არ ყოფილა. აღსანიშნავია, მხოლოდ რამდენიმე პოზიტიური მოვლენა. მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობამ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ათწლიანი (2021-2030) სახელმწიფო სტრატეგია დაამტკიცა. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო უწყებების უცვლელი საჯარო პოზიციონირების მიუხედავად, სტრატეგიის ენა და პათოსი კრიტიკული და თვითრეფლექსიური იყო. ამის მიუხედავად, სტრატეგიის [დოკუმენტს](#) არსებითად ახალი და მნიშვნელოვანი ხედვები და გეგმები არ წარმოუდგენია, რაც ცხადია, რომ ინკლუზიური და თანასწორი საზოგადოების მშენებლობის კუთხით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების მოლოდინებს ამცირებს. ამასთანავე, ჩვენი დაკვირვებით, 2021 წელს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საკითხები, წინა წლებთან შედარებით, საჯარო და მედია სივრცეში უფრო ხშირად ხვდებოდა, რაც ადგილობრივი აქტივისტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედიის ორგანიზების შედეგი უფროა.

მიმდინარე წლის იანვარში მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელი მეორე ქესალოს მოსახლეობასა და მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის წარმომადგენლებს შორის დამაბულობა მოხდა. ადგილობრივი გლეხები სოფლის გარშემო მდებარე სახელმწიფო ბალანსზე არსებულ სასოფლ-სამეურნეო მიწებზე სარგებლობის უფლების მოპოვებას ითხოვდნენ, რის უფლებასაც მათ ადგილობრივი ეპარქია არ ამტკიცებდა. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებების პროცესში მალევე ჩაერთო როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება, მას ადგილობრივებისთვის მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. რამდენიმე კვირის შემდეგ ეპარქიამ დემონსტრაციულად, ადგილობრივებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, სადავო მიწის ნაკვეთების დამუშავება დაიწყო. დაპირებების მიუხედავად, ადგილობრივი გლეხების მიწის [საჭიროებებზე](#) საუბარი კი არც გაგრძელდა.

2021 წლის მარტში საქართველოს აზერბაიჯნელი თემის წარმომადგენელი ახალგაზრდების მოთხოვნაზე, 21 მარტს, ერთი დღით გაუქმებულიყო ე.წ. „კომენდანტის საათი“ და მოსახლეობას შესძლებოდა ტრადიციული სახალხო დღესასწაულის, ნოვრუზის, სრულფასოვნად აღნიშვნა, საქართველოს მთავრობამ უარი განაცხადა. ამავე წელს სათემო ცენტრებისა და ახალგაზრდა აქტივისტების საპარლამენტო ინიციატივა, 21 მარტი გამოცხადებულიყო ოფიციალურ უქმე დღედ, ასევე, არ მიიღო საქართველოს პარლამენტმა.

2021 წლის მარტში საქართველოს პარლამენტში ეროვნული უმცირესობების საკითხზე მომუშავე საბჭოს დიასპორის კომიტეტის ქვეშ შექმნა ეთნიკური უმცირესობების და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი [კრიტიკის](#) საფუძველი გახდა. აქტივისტებმა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებიდან დაიწყეს კამპანია სლოგანით „**მე დიასპორა არ ვარ,**“ რომლითაც სახელმწიფოს შეახსენეს მათი მოქალაქეებად დანახვის მნიშვნელობა.

2021 წლის 16-17 მაისს დმანისის მუნიციპალიტეტში გამოვლენილი დაპირისპირება, რომელიც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაიწყო, თუმცა შემდგომში ეთნიკურ ჯგუფებს შორის

მძიმე დაპირისპირებაში [გადაიზარდა](#), ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოცდილება იყო, რომელიც სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის პროცესის სისუსტეებზე მიუთითებს. სახელმწიფოს დმანისში საპოლიციო რეაგირების მიღმა, პრევენციული და ტრანსფორმაციული ნაბიჯები თემთა შორისი ნდობის აღდგენისა და თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით არ გადაუდგამს.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და წინასაარჩევნო პერიოდი არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონებში მნიშვნელოვანი გამოწვევებით [ხასიათდებოდა](#). კვლავ ჩანდა ხელისუფლების მხრიდან ამ რეგიონებში სუსტი დემოკრატიის და პერიფერიულობის პოლიტიკური გამოყენების ნიშნები. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ოპოზიციონერი კანდიდატები ზეწოლის შედეგად უარს აცხადებდნენ არჩევნებში მონაწილეობაზე და რამდენიმე უბანზე სახელისუფლებო პარტიას საარჩევნო ბიულეტენებზე კონკურენტიც კი არ ჰყავდა. ქვემო ქართლში კვლავ ჩანდა ძალადობრივი პრაქტიკებით და სოციალური კონტროლით ზემოქმედება ამომრჩეველზე.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების პროცესში კიდევ ერთხელ დადგა მოქალაქეობის მიღების საკითხი ჯავახეთში ისტორიულად მცხოვრები იმ ათასობით ადამიანისთვის, რომლებმაც მეზობელ ქვეყნებში შრომითი მიგრაციის გამო რამდენიმე წლის წინ საქართველოს [მოქალაქეობა ავტომატურად დაკარგეს](#), აღნიშნული საკითხი წელსაც არ გადაიჭრა. გადაუჭრელი რჩება მუსლიმი [მესხების მოქალაქეობის საკითხიც](#), რომელიც რეპატრიტრებული ოჯახების ნაწილს ბაზისურ სოციალურ და პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომას უზღუდავს.

2021 წელს აზერბაიჯანელი თემის წევრებმა საკანონმდებლო ინიციატივით და **გვარი დამიბრუნე**-ს კამპანიის ფარგლებში მოაგროვეს 27 000 მდე ხელმოწერა, რათა მათი გვარებიდან რუსული დაბოლოებების (ოვ/ევ და ა.შ.) ამოღების უფლების და ავთენტური გვარების დაბოლოებების დაბრუნების საკანონმდებლო საფუძველი შექმნილიყო. სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ინიციატივაც ზედაპირული და ფორმალისტური მიზეზებით არ დააკმაყოფილა. ეს გადაწყვეტილება დღეს [გასაჩივრებელია](#) სასამართლოში.

მიმდინარე წელი რთული იყო პანკისის ხეობაში. ხეობაში ჩანს მზარდი მიგრაცია და სოციალური უიმედობა, რაც ჩვენი შეფასებით, ბოლო წლების ხელისუფლების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციებს, რეგიონის არადემოკრატიული გზებით მართვასა და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება. მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აგრძელებდა თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმის განხილვას, სადაც საქართველოს მთავრობა კვლავ [აგრძელებდა](#) დაუსაბუთებელი და დეზინფორმაციული ინფორმაციის მიწოდებას სასამართლოსთვის. საგანგაშო იყო ადგილობრივი უხეცესის [ჯაბრაილ ხანგოშვილისთვის](#) მოქალაქეობაზე და შემდეგ უკვე ბინადრობის ნებართვაზე უარის საქმე, სადაც აშკარად გამოჩნდა პოლიტიკურ დაინტერესების და თვითნებობის ნიშნები.

რელიგიის თავისუფლების მდგომარეობა

რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის კუთხით მიმდინარე წელს იმედის მომცემი ცვლილებები ან გადაწყვეტილებები ხელისუფლებას არ მიუღია.

2021 წლის დასაწყისში ქართველი მუსლიმი თემის რელიგიური შევიწროების კიდევ ერთი შემთხვევა [გამოვლინდა სოფელ ბუკნარში](#) (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), რომელმაც თემთა შორისი კონფლიქტის ფორმა მიიღო. ადგილობრივი მართლმადიდებელი თემის გაღიზიანება კერძო სახლში მეჩეთის გახსნას მოჰყვა, რომელმაც საბოლოოდ ძალადობის ფორმა მიიღო. პოლიციამ მუქარისა და ძალადობის სხვადასხვა ეპიზოდებში 2 ადამიანი დააკავა. კონფლიქტის ესკალაციამდე ადგილობრივი ხელისუფლება რამდენიმე კვირის განმავლობაში ცდილობდა სიტუაციის ნორმალიზებას, თუმცა მას საკმარისი ნდობა და რესურსი ვერ აღმოაჩნდა კონფლიქტის პრევენციისთვის, ცენტრალური ხელისუფლების ინტერვენცია კი დაგვიანებული აღმოჩნდა. თემთა შორისი ურთიერთობა ამ დროისთვის ისევ პრობლემურია და ადგილზე ჩანს გაუცხოების და იზოლაციის აშკარა ნიშნები. ამის მიუხედავად, ხელისუფლება ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნით პოზიტიური ნაბიჯებს არ დგამს. სოფელ ბუკნარში გამოვლენილი კონფლიქტი იმეორებს წარსულში 8 სოფელში (ციხისძირი (2011), ნიგვზიანი (2012), წინწყარო (2012), სამთაწყარო (2013), ჭელა (2013), მოხე (2014), ქობულეთი (2014), ადიგენი (2016) ქართველი მუსლიმი თემის არ აღიარების და რელიგიური შევიწროების ლოგიკას და ნარატივს.

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ [მიიღო](#) უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, როლითაც აღიარა 2014 წლის ოქტომბერში სოფელ მოხეში პოლიციის მხრიდან ქართველი მუსლიმების უფლების შეზღუდვის ფაქტები.

მიმდინარე წელს კვლავ დღის წესრიგში იდგა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მსგავსად, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე ბათუმის მერიის უარის უკანონო და დისკრიმინაციული შინაარსის აღიარების მიუხედავად, ბათუმის მერიამ ეს გადაწყვეტილება მაინც [გაასაჩივრა](#) უზენაეს სასამართლოში და კვლავ პროცესის გაჭიანურების სტრატეგიას მიმართა. ეს ნაბიჯი ადგილობრივი მუსლიმი თემის რელიგიური უფლებებისა და საჭიროებების არ აღიარების კიდევ ერთი დემონსტრაციაა ბათუმის თვითმმართველობის მხრიდან.

მიმდინარე წელი კრიზისული იყო მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც. 2021 წლის აპრილში [დაძაბულობის ადგილად](#) იქცა ნინოწმინდის რელიგიური პანსიონატი. პანსიონატის ადმინისტრაცია და მთავარეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე სახალხო დამცველს არ ამღებდა პანსიონატში მონიტორინგის მიზნით შესვლის შესაძლებლობას. ეს უფლება მანამდე შეზღუდული ჰქონდათ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებსაც. ამ პროცესის კვლადკვალ პანსიონატის ყოფილმა ბენეფიციარებმა საჯაროდ დაიწყეს მათ მიერ

განცდილი ძალადობის შესახებ საუბარი. 2021 წლის 5 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ სახელმწიფოს პანსიონატიდან ბავშვების გამოყვანა მოუწია. პროკურატურამ ძალადობის ფაქტებზე დაიწყო გამოძიება, თუმცა ამ დრომდე მისი შედეგები საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. ამ პროცესებმა კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში რელიგიური პანსიონატების დეინსტიტუციონალიზების და გადაუდებელი რეფორმის საკითხი.

2021 წლის 5-6 ივლისს თბილისი პრაიდის მიერ გაცხადებული შეკრების წინააღმდეგ ორგანიზებულ ძალადობრივ კონტრ-დემონსტრაციაზე სამწუხაროდ ისევ ჩანდა მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის მობილიზაცია. ზოგიერთი მათგანი კი ღიად ძალადობრივ მოწოდებას აკეთებდა. ამ დღეებში საპატრიარქო საკუთარ საჯარო განცხადებებში საზოგადოებას მობილიზაციისკენ მოუწოდებდა. ძალადობრივი აქციის პარალელურად პატრიარქის თანამოსაყდრე მიტროპოლიტმა შიო მუჯირმა ქაშვეთის ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადა.

2021 წლის 13 სექტემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სავარაუდოდ უკანონო მოსმენების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებამ კიდევ ერთხელ აჩვენა ეკლესიის შიგნით პოლიტიკური და მორალური კრიზისი. ამასთან, გავრცელებული კრებების შინაარსმა დაადასტურა ერთის მხრივ, ხელისუფლების მხრიდან სასულიერო პირების მასობრივი და ტოტალური კონტროლის და მეორეს მხრივ, საპატრიარქოს არსებული მმართველების ღია მხარდაჭერის და ლოიალობის ნიშნები.

მიმდინარე წელს კვლავ [დამაბული მდგომარეობა](#) იყო ჭყონდიდის ეპარქიაში. ეპარქიის დროებით მართველად დანიშნული ეპისკოპოსის სტეფანე კალაიჯაშვილისა და მასთან დაკავშირებული სხვა ჯგუფების მხრიდან კრიტიკული სასულიერო პირების დევნამ მძიმე შინაარსი შეიძინა და მათი განკვეთის, მონასტრებიდან გამევეების და იძულების სხვა ფორმა მიიღო.

მიმდინარე წელს მაღალი სასულიერო იერარქებისგან კვლავ ისმოდა შოვინისტური (საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის, ანდრია ჯაღმაიძის [განცხადება](#), რომელშიც მან აღნიშნა, რომ ქვემო ქართლში ისედაც არასახარბიერო ეთნიკური ბალანსია), [ანტისემიტური](#) განცხადებები. დაფიქსირდა ჟურნალისტების მიმართ ძალადობის მძიმე გამოცდილებებიც, რომელიც არც სახელმწიფოს და არც საპატრიარქოს მხრიდან რეაგირების საგანი არ გამხდარა.

ადამიანის უფლებები კონფლიქტის რეგიონებში

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა კონფლიქტის რეგიონებში არ გაუმჯობესებულა 2021 წელს. კრიტიკული უფლებრივი გამოწვევები რაც წლების მანძილზე ნარჩუნდებოდა კვლავაც ართულებს

აქ მცხოვრები ადამიანების ყოველდღიურობას. პოზიტიური ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა 2021 წელს დაიწყო ჩართულობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განახლებაზე მუშაობა, რისთვისაც ექსპერტთა დახურული ჯგუფი შექმნა. ეს პოლიტიკური დოკუმენტები აგვისტოს ომის შემდეგ, 2010 წელს მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ და ითვალისწინებდა გადახედვას ყოველ 6 თვეში ერთხელ სამუშაო დონეზე და ყოველ 3 წელში ერთხელ სტრატეგიულ დონეზე. თუმცა მისი მიღებიდან 11 წლის თავზე მასში არავითარი ცვლილება არ არის შეტანილი და ვერ პასუხობს იმ მძიმე უფლებრივ, ჰუმანიტარულ და სოციალურ გამოწვევებს რაც კონფლიქტის რეგიონებში და მის მიმდებარედ არსებულ სოფლებში არის შექმნილი. მნიშვნელოვანია რომ, ხელისუფლებამ ამ პროცესში კრიტიკულად გადაიზროს მისი სამშვიდობო პოლიტიკა და მთელი ძალისხმევა კონფლიქტის ტრანსფორმაციის კომპლექსური მიზნებისკენ მიმართოს, რომელიც ადამიანური უსაფრთხოების პრინციპებს დაეფუძნება.

კონფლიქტის რეგიონებში და გამყოფ ხაზებთან არსებულ სოფლებში უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა კვლავ მძიმეა. გალში და ახალგორში გრძელდება ეთნიკურად ქართველების მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკები, მათ შორის 2021 წელს გალის სკოლებში სრულად [აიკრძალა](#) ქართულ ენაზე სწავლება. ამ გადაწყვეტილებით პრაქტიკულად დასრულდა რუსიფიკაციის პროცესი გალის სკოლებში რომლებიც წლების წინ დაიწყო. იგივე მდგომარეობაა ახალგორის საგანმანათლებლო სექტორშიც.

კვლავ ვერ ხერხდება კონფლიქტის რეგიონებთან მიმოსვლის რეჟიმის გაუმჯობესება, რასაც 2021 წელს არაერთი ტრაგიკული შედეგი მოჰყვა. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პირობებში ადგილობრივი მოსახლეობის წვდომა ხარისხიან და სწრაფ ჯანდაცვაზე და სხვა სოციალურ სერვისებზე შეზღუდულია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს არსებულ სოციალურ ფონს. მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის შედეგად ასევე გრძელდებოდა უკანონო დაკავებების პრაქტიკაც, მათ შორის საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ზაზა გახელაძის და ირაკლი ბებუას დაკავების ფაქტები. კონფლიქტის რეგიონებთან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წუხილები კიდევ უფრო ართულებს ამ მცხოვრები ადამიანების ყოველდღიურობას, რადგან ისინი მუდმივად არიან გატაცების, დაკავების, ე.წ. საზღვრის გადმოწევის და საკუთრების დაკარგვის შიშში. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ადამიანები ზოგიერთ შემთხვევაში ომისგან დანგრეულ სახლებში ღირსებისშემლახავ და არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს. მათ დიდ ნაწილს კი შეზღუდული აქვს წვდომა სასიცოცხლო რესურსებსა და საბაზისო სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, მაგალითად როგორცაა, სასმელი წყალი, სარწყავი წყალი, საძოვრები, ამბულატორიები, საბავშვო ბაღები.

ხელისუფლება შერიგების და ნდობის აღდგენის მიმართულებით წარმატებას ცალკეული პროექტების რაოდენობით ზომავს, რაც მნიშვნელოვანი და ღირებულია, თუმცა მათი როლი კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში ბუნდოვანია. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ ნდობის აღდგენის და შერიგების რეტორიკა პოლიტიკურ დისკურსებში გაძლიერდა,

ხელშესახები შედეგი ამას კონფლიქტის რეგიონებში და მის მიმდებარედ უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობაზე არ ჰქონია და ზოგიერთ შემთხვევაში დამძიმდა კიდევ.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ახალი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიღების პროცესში ხელისუფლებამ კრიტიკულად გაიაზროს არსებული შედეგები, მისი პოლიტიკა კონფლიქტის ტრანსფორმაციის და ადამიანური უსაფრთხოების კომპლექსურ მიდგომებს დააფუძნოს. ეს ერთის მხრივ გულისხმობს ადამიანების ინდივიდუალური უსაფრთხოების გარანტირებას, მეორეს მხრივ ადამიანის უფლებების დაცვას და ამ მხრივ პირდაპირ თანამშრომლობას და დიალოგს დე-ფაქტო რეჟიმებთან და მესამე მხრივ, სოციალური, ჯანდაცვის და განათლების სერვისების გამართვას და ხელმისაწვდომობის გაზრდას, მათ შორის ნეიტრალური მოწმებების ქმედითუნარიანობის გაზრდით.

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

ქალთა ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. 2021 წელს ქვეყანაში კვლავ აქტუალური იყო გენდერული და სქესის ნიშნით ჩადენილი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის რეაგირება ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე. გაზრდილია ძალადობრივი შემთხვევების გამოძიებისა და მოძალადის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების მაჩვენებელიც.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების მიუხედავად, 2021 წელს კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციაზე სახელმწიფოს სისტემური მუშაობა, ის ფრაგმენტული რეაგირებით ხასიათდება, ზედაპირულია და სუსტია ძალადობის ძირეული მიზეზებისა და სტრუქტურული გამოწვევების გამოსწორებასთან ბრძოლაში. ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული პოლიტიკა საჭიროებს კომპლექსური ღონისძიებების ურთიერთქმედებას. სახელმწიფო ინსტიტუციები ძალადობრივ შემთხვევებზე როგორც წესი მოძალადის მიმართ მხოლოდ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით შემოიფარგლებიან და უარს ამბობენ ძალადობის მიზეზების კვლევაზე და აღმოფხვრაზე. მსგავსი მიდგომა კი ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის დინამიკას არ ცვლის.

გამოწვევას წარმოადგენს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მიერ სოციალური სერვისებით სრულყოფილი სარგებლობა, ვინაიდან ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი/კრიზისული ცენტრი მხოლოდ მოკლე პერიოდით უზრუნველყოფს თავშესაფრით, ფსიქოლოგის სერვისით და სამედიცინო საჭიროებებით, რაც ქალებს ძალადობაში დაბრუნებისკენ, ან სიღარიბისკენ უბიძგებს. არსებულ მიდგომებში არ არის

გათვალისწინებული ქალის ეკონომიკური გაძლიერების მექანიზმები, კერძოდ, განათლებაზე წვდომის, დასაქმებაზე ხელშეწყობის და სხვა სოციალური სერვისების მიღება.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიებისა და ამ მიმართულებით კანონმდებლობის დახვეწა. მსგავსი დანაშაულების გამოძიების პროცესი უმეტეს შემთხვევაში ჭიანჭურდება, საგამოძიებო ორგანოებთან ურთიერთობის დროს ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლი ქალების მიმართ, ადგილი აქვს გენდერულად არასენსიტიური, გაუმართლებელი შეკითხვების დასმას, სირთულეს წარმოადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გონივრულ ვადებში და შესაბამისი ექსპერტის მონაწილეობით ჩატარება, რაც საერთო ჯამში ხელს უწყობს მსხვერპლის მეორეულ ვიქტიმიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ სექსუალურ დანაშაულებთან დაკავშირებით პრობლემურია ადგილობრივი კანონმდებლობაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სექსუალური დანაშაულების დასჯადობა, დანაშაულის დადგენა სრულად უკავშირდება მსხვერპლის მიმართ ფიზიკურ ძალადობას, იძულებას ან უმწეო მდგომარეობის გამოყენებას. დანაშაულად არ მიიჩნევა მსხვერპლის გაცნობიერებული თანხმობის გარე სექსუალური კავშირის დამყარება. ამგვარი მიდგომა კი ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებულ ვალდებულებებს და სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოუწოდებს დანაშაულად მიიჩნიონ მსხვერპლის თანხმობის გარეშე სექსუალური კავშირის დამყარების შემთხვევები.

ლგბტი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა

ჰომოფობიასთან ბრძოლა გამოწვევად რჩება ჩვენი სახელმწიფოსთვის. კვლავ სახეზეა ლგბტქ თემის მიმართ სოციალური მგრძობელობის ნაკლებობა, კულტურული სტიგმატიზაცია და ეკონომიკური ჩაგვრა. დისკრიმინაციის ფაქტები თავს იჩენს სხვადასხვა სოციალურ დონეებზე. თუმცა აღსანიშნავია დადებითი დინამიკა და პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლგბტქ ადამიანის მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების გაზრდის მაჩვენებელი. უკანასკნელ წლებში შსს უმეტეს შემთხვევაში უზრუნველყოფს დანაშაულის ჩამდენი პირების იდენტიფიცირებას, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ხდება დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა და თემის წევრებისთვის ფსიქოსოციალური სერვისების შეთავაზება, თუმცა აღნიშნული მცდელობები მხოლოდ ინდივიდუალურ ძალადობაზე რეაგირების ნაწილში ჩანს და პოლიციის რეაგირებას არსებითად სუსტია ლგბტი ადამიანების სამოქალაქო უფლებების რეალიზების და დაცვის ნაწილში.

ლგბტქი ადამიანის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება სხვადასხვა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან თემის წევრების დევნის პრაქტიკაზე სახელმწიფოს ადეკვატური რეაგირება. აღნიშნულის გამოხატულებას

წარმოადგენს 2021 წლის 5 ივლისს ულტრაკონსერვატიული ჯგუფების მიერ „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული „ღირსების მარშის“ ჩაშლა და ქუჩაში თემის წევრებზე, ჟურნალისტებზე ღიად ძალადობა, რასაც სამწუხაროდ ტვ პირველის ოპერატორის ალექსანდრე ლაშქარავას სიკვდილი მოჰყვა. მისი გარდაცვალების სამწუხაროდ, ლგბტქ ადამიანებზე წინა წლებში სხვადასხვა რელიგიური და პოლიტიკური ჯგუფების მიერ ძალადობის შემთხვევების მსგავსად სახელმწიფომ ამ შემთხვევაშიც გამოავლინა სრული უმოქმედობა. შსს-მ ვერ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ძალადობის ორგანიზატორების მიმართ [სამართლებრივი რეაგირება](#). ამ ფონზე ძალადობრივი აქციის ორგანიზატორების მხრიდან პოლიტიკური პარტიის დაფუძნება და რეგისტრაცია ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის სფეროში. ანტიკონსტიტუციური და ანტიდემოკრატიული იყო იმ დღეებში პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაკეთებული პოპულისტური [განცხადება](#), რომლითაც მან რეალურად 5-6 ივლისის ძალადობის დაშვება და ნორმალიზება მოახდინა. მთლიანობაში ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ჯგუფების მიმართ ხელისუფლების მიერ გამოვლენილი პოლიტიკური და სამართლებრივი ლოიალობა, მათი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების ნიშნებს აჩენს და შამაშფოთებელია.

მწვანე პოლიტიკა

გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების პოლიტიკის მიმართულებით 2021 წელს ცენტრალური საკითხი ცალსახად რიონის ხეობაში მიმდინარე წინააღმდეგობის მოძრაობა იყო, რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ჰიდროენერგეტიკული კასკადის მშენებლობას ეწინააღმდეგებოდა როგორც ფიზიკურად, ისე სამართლებრივად. მოძრაობამ მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება ეროვნულ დონეზე, რაც დადასტურდა სხვადასხვა ქალაქში გამართული მასშტაბური მანიფესტაციებითა და უწყვეტი აქციით თბილისში, ქუთაისში, სოფელ ჟონეთში, ნამახვანსა და გუმათში. [ნამახვანჰესის დავამ](#) აქამდე უპრეცედენტო სიმწვავით დააყენა დღის წესრიგში **ბუნებრივი რესურსების - კონკრეტულად კი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის - ათვისების არსებული პოლიტიკის ჩავარდნები, გაუმჭირვალეობა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების ნაკლებობა**.

კვლავ საგანგაშო რჩება **სოციო-ეკოლოგიური ვითარება წიაღის მომპოვებელ რეგიონებში**. 2021 წელს [პროტესტის უკიდურეს ფორმას](#) მიმართა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთის მოსახლეობამ. პირის ამოკერვისა და შიმშილობის გზით პროტესტის მონაწილეები ითხოვდნენ წიაღისეულის მოპოვების შედეგად მათი უძრავი ქონების დაზიანების კომპენსაციას, რამდენიმე შემთხვევაში კი, საცხოვრისისა და საცხოვრებელი გარემოს შეუქცევადი დაზიანების გამო, საცხოვრებლით უზრუნველყოფას. შუქრუთში მიმდინარე წინააღმდეგობამ გამოავლინა რამდენად ღრმა გამოწვევებს უკავშირდება გარემოსდაცვითი სამართლიანოვისთვის ბრძოლა ისტორიულად წიაღისეულის მოპოვებაზე დამოკიდებულ

რეგიონებში, სადაც კომპლექსური სალიცენზიო-სამართლებრივი მემკვიდრეობა, ეკოლოგიური და გეოლოგიური ინფორმაციის ნაკლებობა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის არაეფექტურობა და მონოპოლიური პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მფლობელი მომპოვებელი კომპანიის გავლენა ადგილობრივთა უფლებების დაცვას ართულებს.

ამასთან, 2021 წლის მანძილზე გაჩნდა წიაღისეულის მოპოვების ახალი კერებიც. მათ შორის გამორჩეულად პრობლემურია შქმერის შემთხვევა რაჭაში, სადაც 2021 წლის ზაფხულში მანგანუმის შესწავლა-მოპოვების ახალი ლიცენზიები ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობის გარეშე გაიცა. უფრო მეტიც, [შქმერში ლიცენზიების გაცემას](#) წინ უძღვოდა სისხლის სამართლებრივი დევნა სოფლის მოსახლეთა წინააღმდეგ, რის შედეგადაც შქმერის მკვიდრმა ოჯახებს ჩამოერთვათ მიწა და დაეკისრათ ფინანსური ჯარიმები.

გრძედება სამუშაოები კობი-ქვეშეთის დამაკავშირებელ გზაზე, რომელიც ეკოლოგიურად და კულტურულად მდიდარ ხადას ხეობაზე გადის. [ადგილობრივები ამბობენ](#), რომ გზის რეაბილიტაცია საფრთხეს უქმნის [ისტორიულ ძეგლებს](#) - ეკლესიებს, ციხესიმაგრეებს, სხვა მემორიალურ ადგილებს - და ხეობის ბუნებრივ ლაღშაფტს. ამასთან კითხვის ნიშნებს აჩენს პროექტის განმახორციელებელი კომპანიის კომპეტენცია, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისთვის გადახდილი კომპენსაცია უკიდურესად მწირია. ეს შემთხვევა ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ აყენებს დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობითი პროცესის გარეშე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები სხვადასხვა რეგიონის კულტურულ და ეკოლოგიურ მემკვიდრეობას მძიმე და შეუქცევადი ზიანის რისკის წინაშე.

საჯარო სივრცეების შემცირება და ქაოტური, არადემოკრატიული განაშენიანება ძირითად პრობლემად რჩება საქართველოს დიდ ქალაქებში - ბათუმსა და თბილისში, სადაც ურბანული პოლიტიკის შემუშავებისა და სივრცითი დაგეგმარების პროცესებში მუნიციპალური პრაქტიკები მოსახლეობის მონაწილეობას არ ითვალისწინებს. შედეგად, საჯარო სივრცეები, მწვანე სივრცეებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად მაცხოვრებლებს სამართლებრივი ბრძოლა და საპროტესტო ღონისძიებებში ჩართვა უწევთ.

გარემოსდაცვითი დაბინძურების მხრივ 2021 წელს დღის წესრიგში დადგა ჰაერისა და ნიადაგის მძიმე ლითონებით დაბინძურების პრობლემა ინდუსტრიულ ქალაქებში. ფოთში ჩატარებულმა წინასწარმა კვლევამ გამოავლინა არასრულწლოვანთა ტყვიით მოწამვლის შემთხვევები, რაც გარემოსდაცვით დაბინძურებას უკავშირდება. რუსთაველი კი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეგროვებულმა ინფორმაციამ ჰაერის საგანგაშო და მრავალმხრივი დაბინძურების პრობლემა დაადასტურა.

ზემოთ ჩამოთვლილმა შემთხვევებმა გამოაშკარავა რამდენიმე თვალსაჩინო წინაღობა, რომელიც ხელს უშლის გარემოსდაცვითი სამართლიანობის და ბუნებრივი რესურსების

მდგრადი მართვის ადვოკატირებას როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. როგორც [ნამახვანჭკისის](#), ისე [შუქრუთისა](#) და შქმერის შემთხვევებში, ადგილობრივთა წინააღმდეგ გატარდა **რეპრესიული ზომები** და პროტესტის მონაწილეებს **შეეზღუდათ გამოხატვის თავისუფლება**. ამასთან, **არაეფექტურ მექანიზმად რჩება სასამართლო**, რომელიც, განსაკუთრებით COVID 19-ის პანდემიის პირობებში, დროულად და ეფექტურად არ რეაგირებს კანონდარღვევისა და ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების ხელყოფაზე.

მიუხედავად ამ სირთულეებისა, გარემოსდაცვითმა მოძრაობებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მოძრაობამ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“, უპრეცედენტო საჯარო წნეხის მობილიზების გზით, სახელმწიფო აიძულა ჩართულიყო **მედიაციის პროცესში** და ელიარებიან პროექტის პრობლემურობა. ამასთან, 2021 წელს ძალაში შევიდა **კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ**, რომელიც, სხვა მნიშვნელოვან სიახლეებთან ერთად, გარემოს დამაბინძურებელს დაზიანებული გარემოს აღდგენას ავალდებულებს და გამჭირვალეობის ახალ სტანდარტებს უწესებს.

შრომის პოლიტიკა

მიმდინარე წელი გამორჩეული იყო ქვეყანაში გამართული მშრომელთა გაფიცვების ოდენობით. ქლის დასაწყისში ხელშეკრულების არსებითი პირობების ცალმხრივად ცვლილების გამო კურიერები გაიფიცნენ. ქვლავ [ქაფიცვის კერას წარმოადგენდა ქიათურა](#), სადაც მადარობებში დასაქმებულები წლების მანძილზე ითხოვენ უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და გაუმჯობესებულ შრომის პირობებს. ქედაქალაქის რამდენიმე დღით ანტისანიტარია გამოიწვია **თბილსერვისში** დასაქმებული პირების პროტესტმა და ამ სამსახურის პარალიზებამ. მშრომელები ამ შემთხვევაშიც უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფასა და ღირსეული ანაზღაურების მიღებას [მოითხოვდნენ](#). ქამდენიმე კვირის განმავლობაში გაიფიცნენ **გურიაში**, [პურის ფქვილის საწარმოში დასაქმებული](#) პირებიც. ქოთხოვნას შრომის ანაზღაურების ოდენობის გაზრდა და შრომითი პირობების გაუმჯობესება წარმოადგენდა. 6 დღე გაგრძელდა დასაქმებულთა გაფიცვის პროცესი [რუსთვის აზოტშიც](#). მშრომელები მოითხოვდნენ ანაზღაურების გაზრდას და გარანტიას, რომ გაფიცვის მონაწილეთა მიმართ რეპრესიული ღონისძიებები არ განხორციელდებოდა. ქსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვისა და ხელფასების გაზრდის მოთხოვნით ქამდენიმე დღის მანძილზე გაფიცული იყვნენ [ავტობანის მშენებლობაზე დასაქმებული პირებიც](#).

ქასაქმებულთა უფლებების დარღვევა და უსაფრთხოების სტანდარტების დაუცველობა კვლავ **ტყიბულის შახტებში** დასაქმებული პირების ყოველდღიურობას წარამოდგენდა. ქლის დასაწყისში ანაზღაურების სისტემის ცვლილებამ რამდენიმე მემახტე აიძულა პროტესტის [უკიდურესი ფორმისთვის მიემართა](#), თითქმის 24 საათის მანძილზე 11 მემახტე შახტიდან

ამოსვლაზე უარს აცხადებდა და საკუთარ ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებდა. მოგვიანებით, ორი ადამიანის [სიცოცხლე იმსხვერპლ](#) ტყიბულში, ქვანახშირის საბადოს ერთ-ერთი მოპოვების კერაზე მიმდინარე გამაგრებითა სამუშაოებმა. პრობლემური აღმოჩნდა შახტებში პანდემიის კონტროლიც. ქაწესებული რეგულაციების უკონტროლო ხასიათმა დასაქმებულთა უმეტესობა სწორედ სამუშაო ადგილებზე დააინფიცირა.

გაფიცვის პირას იდგნენ **ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური სააგენტოს თანამშრომლებიც**, რომლებიც დიდი ხანია საუბრობენ მძიმე სამუშაო პირობებსა და [შრომითი უფლებების დარღვევებზე](#). სამწუხაროდ, სამინისტრო, რომლისგანაც საზოგადოებას შრომითი უფლებების ღირსეული სტანდარტების დაწესების მოლოდინი აქვს, როგორც დამსაქმებელი, თავად ვერ უზრუნველყოფს შრომითი კანონმდებლობის მინიმალური სტანდარტების დაცვას და დასაქმებულებს გაფიცვისკენ უბიძგებს. სოციალური სააგენტოს თანამშრომლებთან მოლაპარაკების პროცესი ამ დრომდე გრძელდება.

2021 წელს პანდემიურმა რეალობამ კიდევ ერთხელ მწვავედ გამოავლინა ქვეყანაში არსებული **არაფორმალური დასაქმების მასშტაბი** და მშრომელთა კრიტიკული გამოწვევები. ქამწუხაროდ, სახელმწიფოს აღნიშნული პირების პრობლემების შესწავლის, გამოვლენისა და ადეკვატური დახმარების ქმედითი ბერკეტები კვლავ არ გააჩნია. ამაზე მეტყველებს ანტიკრიზისული დახმარების გეგმის ფარგლებში თვითდასაქმებულთა და არაფორმალურად დასაქმებულთა იდენტიფიცირების და მათ მიერ დახმარების მიღების თვალსაზრისით სახელმწიფოს [წინაშე არსებული გამოწვევებიც](#).

2021 წელს შრომის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებას წარმოადგენდა **შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის გაფართოვება** და მისთვის შრომის უფლებების ზედამხედველობის უფლებამოსილების მინიჭება. ინსპექციას პირველი იანვრიდან შეეძლო რეაგირება მოეხდინა არა მხოლოდ შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, არამედ [შრომითი უფლებების დარღვევებზეც](#). შრომის ინსპექციის გაზრდილი მანდატი მშრომელთა ყოველდღიურობის ხელშესახები გაუმჯობესების წინაპირობად უნდა ქცეულიყო, თუმცა შრომის ინსპექცია სათანადო რესურსების ნაკლებობისა და კოვიდ-რეგულაციების შესრულების ზედამხედველობის ახალი ვალდებულების გამო, სამწუხაროდ სრულყოფილად კვლავ ვერ უმკლავდება ახალი მანდატით განსაზღვრული უფლებამოსილებების აღსრულებას.

მოციალური სამართლიანობის ცენტრი 2021 წელს კვლავ აქტიურად განაგრძობდა სასამართლოებში სტრატეგიულ სამართალწარმოებას უფლებადარღვეული დასაქმებულების დაცვის მიზნით. ქლსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ქენტრმა შრომით დავებში რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ქერძოდ, გამარჯვებით დასრულდა [დავა მესტიის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ](#) ჰესების მშენებლობის პროტესტის მონაწილეთა სამსახურიდან დისკრიმინაციულ განთავისუფლებას შესახებ. ეს გადაწყვეტილება

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომით ურთიერთობაში დასაქმებულთა დისკრიმინაციისაგან დაცვის თვალსაზრისით, ვინაიდან დადგინდა, რომ მოსარჩელების დევნა განსხვავებული აზრის გამო მოხდა. ასევე სოციალური სამართლიანობის ცენტრის [გამარჯვებით დასრულდა დავა სამივე ინსტანციაში ბიზნუსის წინააღმდეგ](#). აღნიშნულ დავაში სოციალური სამართლიანობის ცენტრი წარმოადგენდა დასაქმებულებს, რომლებსაც კომპანია ცილისწამებას ედავებოდა იმის გამო, რომ მათ ხმამაღლა ისაუბრეს მძიმე და არანორმირებულ სამუშაო გრაფიკზე, დაბალ ანაზღაურებასა და დაჯარიმების უსამართლო პრაქტიკაზე. კიდევ ერთი მოგებული შრომითი დავა ეხებოდა [სოციალურ მუშაკთა უკანონოდ გათავისუფლებული 3 თანამშრომლის სამსახურში აღდგენასა](#) და მათთვის განაცდურის ანაზღაურებას. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მომავალშიც გააგრძელებს სისტემიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირებისა და შრომითი უფლებადარღვეული პირების მხარდაჭერას.

2021 წლის მოვლენებმა კიდევ ერთხელ გახადა ნათელი დასაქმების ადგილებზე ადამიანის უფლებათა შელახვის სისტემური, მძიმე გამოცდილება და დასაქმებულთა ექსპლუატაციის უხილავი თუ ხილული პრაქტიკები, რაც შრომის პოლიტიკის არათანმიმდევრულობასა და ფუნდამენტურ ხარვეზებს უკავშირდება. ეს მოვლენები წარმოადგენდა არა მხოლოდ ინდივიდუალურ შრომით დავებს, არამედ საერთო სოციალურ პროტესტს არსებული ეკონომიკური და სოციალური სისტემის წინააღმდეგ, რომელმაც დასაქმებულთა მინიმალური კეთილდღეობა და სოციალური უსაფრთხოება დღემდე ვერ უზრუნველყო.

სათანადო საცხოვრებლის უფლების გარანტირება

წინა წლების მსგავსად, უსახლკარობასთან ბრძოლა და სათანადო საცხოვრისის გარანტირება საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტი არც 2021 წელს გამხდარა. ქვეყანაში კვლავ არ შექმნილა საცხოვრისის პოლიტიკა, რომელიც მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივებში უზრუნველყოფდა სახელმწიფოს რეაგირებას უსახლკარობის პრობლემაზე. მთავრობას ჯერ კიდევ არ გადაუდგამს ნაბიჯები უსახლკარობის მასშტაბის, ფორმებისა და გამომწვევი მიზეზების დასადგენად, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებასა და უსახლკარობის სერვისების შექმნას იზოლირებულად, ცალკეული მუნიციპალიტეტების დონეზეც კი.

მიუხედავად COVID-19-ის პანდემიისა და მთელი რიგი ჯგუფებისათვის უსაფრთხო და სათანადო საცხოვრისის უზრუნველყოფის აუცილებლობისა, სახელმწიფო პოლიტიკა ამ წელსაც სტატიკური იყო და უგულებელყოფდა საცხოვრისის საჭიროების მქონე ადამიანებისა და შინამეურნეობების გამოწვევებს.

მთავრობამ ვერც მიმდინარე წელს შეძლო, მინიმალურ დონეზე მაინც წარემართა **საცხოვრისის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი**. სამწუხაროდ, 2019 წლიდან (საცხოვრისის პოლიტიკის შემუშავებელი საკოორდინაციო კომისიის შექმნიდან) დღემდე ამ სფეროში მინიმალური პროგრესის მიღწევა არ მომხდარა.

პოლიტიკის არარსებობის კვალდაკვალ, კვლავ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საცხოვრისისა და საცხოვრისიდან გამოსახლების სფეროში **ნორმატიული ჩარჩოს უკიდურესი ხარვეზიანობა**, რაც გამორიცხავს საცხოვრისის საჭიროების მქონე, მათ შორის, გამოსახლების რისკის ქვეშ მდგომი ადამიანებისა და შინამეურნეობების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის არსებობას. ამ მიმართულებით საინტერესო პროცესს წარმოადგენს **სოციალური კოდექსის პროექტზე მუშაობის დაწყება**, რომელმაც, სხვადასხვა საკითხთან ერთად, საცხოვრისის უფლებაც გაითვალისწინა. აღნიშნული პროცესი რამდენიმე კვირის წინ დაიწყო და მისი შინაარსობრივი და პროცედურული შეფასება 2022 წლის განმავლობაში მოხდება.

მიმდინარე წელს, საცხოვრისის სტანდარტებთან დაკავშირებით **დადებით ცვლილებას** უზენაეს სასამართლოში სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ [მოგებული საქმე](#) წარმოადგენს, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ საცხოვრისით უზრუნველყოფისას ერთ ადამიანზე 6.4 კვ.მ. ფართის გამოყოფა სათანადო საცხოვრებლის უფლების დარღვევაა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება საცხოვრისის სტანდარტების დაწესების მიმართულებით მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ **მისი აღსრულება ჯერ კიდევ არ მომხდარა**.

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა, სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად, იწვევს მხოლოდ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებული საცხოვრისის ისედაც მწირი სერვისების ხარვეზიანობას. საცხოვრისის სერვისების მიმღები ადამიანების ინდივიდუალური საჭიროებების გაუთვალისწინებლობის ნათელ მაგალითს **თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ორხევის საცხოვრისი** წარმოადგენს. სერვისში განთავსებული 250-მდე ადამიანი მხოლოდ ფორმალურად არის ჰერით დაკმაყოფილებული, სინამდვილეში, მათ არასათანადო პირობებში [უწევთ ცხოვრება](#) მუდმივი ხმაურის, ინფრასტრუქტურასთან და სერვისებთან შეზღუდული წვდომის, გადატვირთულობის გამო. მიუხედავად პრობლემის სიმწვავისა, თბილისის მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია ღონისძიებები მაცხოვრებლების მხარდასაჭერად და მათთვის სათანადო საცხოვრისის შესათავაზებლად.

კანონმდებლობისა და პრაქტიკის კუთხით მიმდინარე წელი განსაკუთრებით საინტერესო [გამოსახლების](#) მიმართულებით იყო. COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში გამოსახლებაზე კვლავ მორატორიუმის რეჟიმი ვრცელდება, თუმცა აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ შეუწყვეტია გამოსახლების შესახებ განცხადებების რეგისტრაცია და საქმისწარმოება. მეტიც, ბიუროს გამოსახლების შესახებ სულ მცირე 1800 საქმე აქვს წარმოებაში მიღებული, რაც მხარდაჭერის მექანიზმების არარსებობის პარალელურად, მორატორიუმის გაუქმების შემდგომ **ქვეყანაში გამოსახლების ტალღებს გამოიწვევს**. ამასთან, მიუხედავად მორატორიუმისა, აღსრულების ეროვნული ბიუროს გვერდის ავლით მოვალეებზე ზეწოლას

ახორციელებენ მევახშეები და კომერციული ბანკები, რათა მათ აღსრულების ფორმალური პროცედურის გარეშე გამოათავისუფლონ ქონება, რაც ქვეყანაში **მტაცებლური ფულად-საკრედიტო სისტემის** არსებობის კიდევ ერთი დასტურია.

სამწუხაროდ, სახელმწიფო არათუ ცდილობს შექმნას გამოსახლების სტანდარტები და გამოსახლებას დაქვემდებარებული ადამიანების მხარდაჭერის მექანიზმები, არამედ მათ მდგომარეობას კიდევ უფრო მძიმეს ხდის. აღნიშნულის ნათელ მაგალითს და საშიშ პრეცედენტს ჩუღურეთის რაიონში, ე.წ. **“ოქროს უბნის” ტერიტორიაზე** უსახლკარო და დევნილი ოჯახების მიმართ (6 ადამიანი) რეპრესიული ღონისძიებებისა და [სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება](#) წარმოადგენს. ტერიტორიის პრივატიზაციის შემდეგ სახელმწიფომ არათუ კომპენსაცია/ღირსეული საცხოვრებელი შესთავაზა შინამეურნეობებს, არამედ გამოსახლებით დაემუქრა და მამინ, როცა მათ ქუჩაში დარჩენაზე უარი განაცხადეს, მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმი მომართა. ბრალდებულების ინტერესებს სოციალური სამართლიანობის ცენტრი იცავს.

ზემოაღნიშნული გამოწვევების პარალელურად, სახელმწიფო განაგრძობს პრობლემის არაღიარებას და არსებული სტანდარტების კიდევ უფრო დაბლა დაწევას. მაგალითისთვის, [აღსრულების კოდექსის პროექტი](#), რომელიც საპარლამენტო განხილვების ეტაპზე იმყოფება, მინიმალურ დონეზეც არ მოიცავს გამოსახლებისთვის რელევანტურ უფლებრივ სტანდარტებს, მეტიც, ითვალისწინებს ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, აღსრულების პოლიციას გამოსახლების განხორციელება სასამართლოს გვერდის ავლით შეეძლება - მხოლოდ ქონების შემძენის განცხადების საფუძველზე. ამგვარი ცვლილებები, ძალაში შესვლის შემთხვევაში, ცალკეულ საქმეებზე დააბრუნებს გაუქმებულ საპოლიციო გამოსახლების რეჟიმს, რაც ადამიანის უფლებათა სტანდარტების უხეში დარღვევაა. მეორე მხრივ, **სამშენებლო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებებმა უსახლკარობის კრიმინალიზაცია გამოიწვია**, კერძოდ, უსახლკარო პირების მიერ თვითდახმარების მიზნით საცხოვრისების უნებართვო მშენებლობაზე სისხლისსამართლებრივი სანქციები დააწესა, რაც საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებისა და სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის უგულებელყოფას წარმოადგენს.

შშმ პირთა უფლებების დაცვა

შშმ პირთა უფლებების დაცვა და მათი საჭიროებების გათვალისწინება 2021 წელსაც არ გამხდარა მთავრობის პოლიტიკური დღის წესრიგის პრიორიტეტული საკითხი. საქართველომ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის ძალაში შესვლიდან 7 წლის თავზეც კი ვერ მოახერხა, ამ ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ გარდაექმნა პოლიტიკა და განევითარებინა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები. საკითხის არაპრიორიტეტულობის, ხარვეზიანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს, სერვისების უკიდურესი სიმწირისა და საზოგადოებაში არსებული სტიგმის ფონზე, შშმ პირთა უფლებებში ვერ გამოვეყოფთ ერთ მიმართულებას მაინც, რომელიც მნიშვნელოვან და

სისტემურ გამოწვევებთან არ არის დაკავშირებული და რომელმაც უკანასკნელ წლებში რეალურად მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიმდინარე წელს შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით სისტემური გამოწვევები როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პოლიტიკისა და ინსტიტუციურ ჩარჩოსთან მიმართებით გვხვდება. 2020 წელს მიღებული „**შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონი**“ ამ დრომდე ვერ იქცა შშმ პირთა უფლებების დაცვის ეფექტიან ინსტრუმენტად. მეტიც, მისი იმპლემენტაციის პროცესი სახელმწიფო უწყებების მხრიდან ვალდებულებების დროში დაგვიანებით შესრულებით ან საერთოდ შეუსრულებლობით [შეიძლება დახასიათდეს](#). მაგალითისთვის, მიუხედავად კანონით მიერ განსაზღვრული ვადისა - 2021 წლის 1 იანვრისა - **შშმ პირთა უფლებების ერთიანი სტრატეგიისა** და წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება ჯერ არ მომხდარა.

ქვეყანაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შშმ პირთა შეფასებისა და მათ მიმართ პოლიტიკის განხორციელების სამედიცინო მოდელის არსებობა, რომელიც მხედველობაში მხოლოდ პირის დიაგნოზსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას იღებს. მიუხედავად კონვენციით აღებული ვალდებულებებისა, მიმდინარე წელს **სამედიცინო მოდელიდან სოციალურ პარადიგმაზე გადასვლის პროცესი** არ დაწყებულა. სოციალური მოდელის იმპლემენტაციის არარსებობის გამო, მთავრობა ჯერ კიდევ **არ ფლობს შშმ თემის საჭიროებების შესახებ ინფორმაციას**, რაც თავისთავად გამორიცხავს ეფექტიანი სერვისების შექმნისა და განვითარების შესაძლებლობას.

თემის წინაშე არსებული გამოწვევების უგულებელყოფის ნათელ მაგალითს შშმ პირებისათვის გამოყოფილი ფულადი ბენეფიტის - ე.წ. **სოციალური პაკეტის - ინსტრუმენტის ხარვეზიანობა** წარმოადგენს. მიმდინარე წლის იანვარში, შშმ პირებმა და ორგანიზაციებმა [მიმართეს](#) მთავრობას, გაეთვალისწინებინა COVID-19-ის პანდემიისას წარმოქმნილი სირთულეები, ინფლაციის მაღალი დონე, სოციალური პაკეტის მინიმალური ოდენობა (ცალკეული ჯგუფებისთვის მისი ოდენობა საარსებო მინიმუმზე დაბალია) და მიეღო გადაწყვეტილება აღნიშნული ბენეფიტის ზრდასთან დაკავშირებით. მიუხედავად მოთხოვნის ლეგიტიმურობისა და გამოწვევის სიმწვავისა, მთავრობას რეაგირება არ მოუხდენია.

მეორე მხრივ, შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს 29 ნოემბერს შშმ პირთა უფლებების **კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა**, რისი ვალდებულებაც მთავრობას ჯერ კიდევ 7 წლის წინ, კონვენციის რატიფიცირებისას წარმოეშვა. მიუხედავად ამგვარი მექანიზმის მნიშვნელობისა, მთავრობა ჯერ კიდევ [არ ქმნის მისი ეფექტიანი მუშაობის გარანტიებს](#), მათ შორის, საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფის, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების, გადაწყვეტილების მიღებისას შშმ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

მნიშვნელოვან პოზიტიურ მოვლენას წარმოადგენს 2021 წლის 5 მარტს პარლამენტის მიერ შშმ პირთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რაც შშმ პირებს აძლევს შესაძლებლობას, უფლებების დარღვევის დროს გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტს მიმართონ. მიუხედავად ოქმის რატიფიცირების მნიშვნელობისა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობას არ გაუთვალისწინებია გაეროს კომიტეტისთვის მიმართვის შედეგად შშმ პირის მიერ სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა.

შშმ პირთა უფლებების დაცვის პოლიტიკის ზემოაღნიშნულ სისტემურ ხარვეზებთან ერთად, ქვეყანაში განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს [ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის ფუნქციონირება](#) და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერა, რომელიც კიდევ უფრო პრობლემური [COVID-19-ის პანდემიისას გახდა](#). სამწუხაროდ, მთავრობამ არ გაითვალისწინა პანდემიის ტვირთი მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ამ მიმართულებით დამატებითი სერვისების განვითარება პანდემიასთან ბრძოლის პოლიტიკის ნაწილი ჯერ კიდევ არ გამხდარა.

დამატებით, მთავრობას არ მიუღია [ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია](#), რომელიც ამ დრომდე მხოლოდ სამუშაო ვერსიის სახით არსებობს და ბევრ სფეროში არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებსა და რელევანტურ საერთაშორისო სტანდარტებს. სახელმწიფოს ასევე არ მიუღია შესაბამისი ღონისძიებები [ქმედუნარიანობის რეფორმის განსახორციელებლად](#), რაც 6000-ზე მეტ მხარდაჭერის მიმღებ პირს პრაქტიკაში გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას ართმევს.

სახელმწიფო პოლიტიკის ჩავარდნის ყველაზე ნათელ მაგალითს ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შშმ პირების [ინსტიტუციონალიზაციის უცვლელი პრაქტიკა წარმოადგენს](#). საქართველოში ამგვარ რეჟიმს 1000-ზე მეტი ადამიანია დაქვემდებარებული, რომელთაც საზოგადოებისგან იზოლირებულად, უფლებებისა და ღირსების შემლახველ გარემოში, [წლების განმავლობაში უწყვეტ ინსტიტუციებში ცხოვრება](#), მაშინ, როდესაც მთავრობა ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის მთლიანი ბიუჯეტის 55% -ს კვლავ სპეციალიზებული დაწესებულებებისკენ [მიმართავს](#) და არასაკმარის ძალისხმევას დებს ამგვარი ინსტიტუციების დაშლისა და სათემო სერვისების განვითარებისათვის.

იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს გაეაზრებინა საკუთარი ვალდებულებები დეინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით, რეგულირების პრობლემებმა და უწყების მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების არასაკმარისმა მართვამ მიმდინარე წელს ინსტიტუციონალიზების რისკები კიდევ უფრო გაზარდა. კერძოდ, 2021 წლის ზაფხულში ევექსის კლინიკაში არსებული [ფსიქიატრიული სტაციონარული განყოფილება დაიხურა](#), ხოლო სამინისტრომ მისი ჩანაცვლება ვერ მოახერხა. შედეგად, წლების წინ თბილისში გახსნილი სამი მულტიპროფილური კლინიკიდან სერვისის მიმწოდებლად მხოლოდ ერთი -

N 5 კლინიკა დარჩა, ხოლო თბილისს გარეთ იმერეთში მხოლოდ “თერჯოლამედი” ფუნქციონირებს, რომელიც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს თემში აწვდის სტაციონარულ სერვისს. სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის შინაარსის პრობლემურობისა და სერვისის დაფინანსების ხარვეზების გამო, უცნობია, თუ რამდენად შეძლებს დარჩენილი ორი კლინიკა ეფექტიანად ფუნქციონირებას.

დიდი ზომის დაწესებულებების დაშლის მიმართულებით მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენს შშმ პირთა პანსიონატების დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიმდინარე პროცესი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებთან მიმართებით ამგვარი სტრატეგია ჯერ არ შექმნილა, რაც ამ მიმართულებით პრობლემის მოგვარებას გაურკვეველი დროით ავადებს.